

“ბეიბი ბუმერს” და „პოსტ-კოვიდ“ გამარჯვებული თაობების უკეთ ცხოვრების ეკონომიკური მექანიზმები

რევაზ ლორთქიფანიძე 

სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, თბილისი, 0114, საქართველო
ელ. ფოსტა: revaz.lortkipanidze@geomedi.edu.ge

რეზიუმე

II მსოფლიო ომის შემდგომი წლები (1945-64), შეერთებულ შტატებსა და მრავალ სხვა წარმატებულ ქვეყანაში შობადობის განსაკუთრებით მაღალი დონით გამოირჩეოდა, რის გამოც, ამ პერიოდს, “ბეიბი ბუმერს”-ების (ბავშვების უპრეცედენტო რაოდენობის) თაობა შეარქვეს [1].

ბუმერსების თაობას, ეკონომიკური დაწინაურების რეკორდულ ტემპებთან ერთად, სხვა მრავალი ღირსება ახლდა, თუმცა, გადაჭარბებულმა სასიხარულო მუხტმა, მთელი რიგი პრობლემებიც წარმოშვა და, შედეგად, საკმაოდ წარმატებული თაობის ადამიანებში ალკოჰოლისადმი მიძალების გარკვეულმა ტენდენციებმა იჩინა თავი [2], რამაც, 90-იანი წლების ცნობილი ეკონომიკურ-დემოგრაფიული კრიზისიც მოგვიტანა საბოლოოდ.

ბუმერსების თაობის გამოცოცხლებას ცნობილი „დიდი დეპრესია“ უძღვოდა წინ და ჩემი ვარაუდითა და, გარკვეულწილად, ჩატარებული კვლევის შედეგებით, ვლინდება, რომ, „პოსტ-კოვიდ“ ერაში (2025-45 წლები), პანდემიაზე გამარჯვებულ თაობებშიც, შობადობის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება გვექნება, რასაც მომზადებული უნდა შევხვდეთ, ეკონომიკური მართვის თვალსაზრისითაც.

საკვანძო სიტყვები

ეკონომიკური მექანიზმები, ეკონომიკური ტემპები, ეკონომიკურ-დემოგრაფიული კრიზისი, “ეკონომიური” მართვა

შესავალი

ნათქვამია, ხალხის მიერ, „ყველა მედალს ორი მხარე აქვსო“ და „ბეიბი ბუმერსების“ თაობამაც, მიუხედავად იმისა, რომ „ეკონომიური“ მართვის საჭიროება დაგვიტოვა

მემკვიდრეობად (გაზრდილი ალკოჰოლიზმის თანმდევი ჯანდაცვითი პრობლემებისა და უკვე საპენსიო ასაკში შესული მომრავლებული მოსახლეობის მნიშვნელოვნად გაზრდილი ხარჯების გამო), პოსტკოვიდური ეპოქისათვის, მრავალი ისტორიული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობა, ეკონომიკის სხვადასხვა მასშტაბური ობიექტი და მართვის უაღრესად საჭირო გამოცდილება შეგვძინა.

მასალა და მეთოდები

ჩემი ადრეული სადისერტაციო კვლევებიდან დაწყებული [7], დღენიადაგ, განსაკუთრებული ინტერესით ვიკვლევდი თანამედროვე თაობების დემოგრაფიულ პრობლემებს და მივედი საოცარ შედეგებამდე (ევროკავშირის ექსპერტთა მეთოდოლოგიის განვითარებით), როცა ეკონომიკური სტრუქტურა ენტროპიის მეთოდოლოგიითა და სტრუქტურული ვექტორის გადახრის კუთხის კოსინუსის მეთოდით შევისწავლე, მსოფლიო ეკონომიკის, სხვადასხვა მაკროეკონომიკისა და რეგიონალური ეკონომიკის მაგალითებზე. მასალად გამოვიყენე მსოფლიო ბანკის 1960-2021 წლების სტატისტიკური მონაცემები [8] და საქართველოს წარმატებული ეკონომიკური ობიექტებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ინდივიდუალური გამოკითხვები.

შედეგები

II მსოფლიო ომისშემდგომი ეკონომიკური გამოცოცხლებისა და კომპიუტერული ინოვაციების შედეგად, განვილილ უახლოეს ნახევარსაუკუნეში, მსოფლიო რეკორდულად გამდიდრდა. კერძოდ, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი, 1960-2021 წლებში, 2571%-ით (ცხრილი 1) ანუ დაახლოებით 26,7-ჯერ გაიზარდა: 459.1\$-დან 12,262.9\$-მდე [8].

ცხრილი 1. მშპ ერთ სულზე და ინტეგრალური სიმწიფის მაჩვენებლები

№	მაჩვენებელი	1960-2021
1.	მშპ ერთ სულზე, ზრდის ტემპი მსოფლიოში	+2571%
2.	ინტეგრალური სიმწიფე მსოფლიოში	+103%
3.	ინტეგრალური სიმწიფე მაკროეკონომიკებში	+58%
4.	ინტეგრალური სიმწიფე რეგიონალურ ეკონომიკებში	+22%
5.	ინტეგრალური სიმწიფე მთიანი რეგიონების ეკონომიკებში	-135%

მოულოდნელი აღმოჩნდა ეკონომიკური სტრუქტურის სიმწიფის მაჩვენებლების შედარების შედეგები. აღნიშნულისათვის, გამოვიყენე არასტანდარტული მაჩვენებელი - გადავამრავლე ენტროპიის მეთოდით განსაზღვრული სიმწიფე

გადახრის კუთხის კოსინუსზე და ინტეგრალურმა მაჩვენებელმა უფრო თვალსაჩინოდ გამოკვეთა შედეგები. ანალიზმა გვაჩვენა, რომ, მსოფლიო ეკონომიკა, რომელიც არ რეგულირდება რომელიმე კონკრეტული სახელმწიფო ორგანოს მიერ, უფრო მწიფე აღმოჩნდა, ვიდრე, მრავალი რეგულირებადი სახელმწიფო და რეგიონი. გამომდინარე, შეიძლება ცალსახად აღვნიშნოთ, რომ სიღარიბის გარკვეული ზრდა ცალკეულ ქვეყანასა და რეგიონში, მნიშვნელოვანწილად, ხელისუფლების არაკომპეტენტურობის შედეგია. კოვიდ-პანდემიის შემდეგ, განსაკუთრებით სავალალო დღეში აღმოჩნდნენ მთიანი რეგიონების ახალგაზრდა თაობა, სადაც, კიდევ უფრო გამწვავდა ისედაც მწვავე დემოგრაფიული ტენდენციები. სამაგალითოა, რომ ქართულმა უნივერსიტეტმა გეომედმა, პანდემიის ურთულეს დღეებში, უზარმაზარი ქვეყნების ახალგაზრდობის აღზრდის ურთულესი საქმე იტვირთა და გაღრმავდა სამეცნიერო კვლევები [3, 4, 5, 6] სადღეისო სამედიცინო პრობლემებისა და მენეჯერული ხარჯების არსებითი შემცირების მიმართულებებით. არ უნდა დაველოდოთ, როდის დაცარიელდება ოდესღაც ბედნიერებით სავსე მაღალმთიანი რეგიონები ან როდის დაძლევს სიღარიბეს სიღარიბის ჯადოსნურ წრეში მოქცეული მოსახლეობა.

დასკვნა

კვლევის დასკვნისათვის, დაიბადა კითხვა, რა უნდა გავაკეთოთ მოსალოდნელი აღმავლობის წასახალისებლად და ჯერ კიდევ მწვავე პრობლემების აღმოსაფხვრელად გლობალური ეკონომიკის, მაკროეკონომიკებისა და რეგიონალური კლასტერების დონეებზე.

ჩვენ პრიორიტეტულად აღვნიშნავთ შემდეგ რეკომენდაციებს მომავალი თაობების შესაძლოდ ლაღი ცხოვრებისათვის:

1. საჭიროა მივაღწიოთ გაეროს საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების არსებით გაძლიერებასა და ანტიმონოპოლიური სტრუქტურის შექმნას ინტერპოლის ფრთის ქვეშ - დამოუკიდებელი ქვეყნები ვერ ახერხებენ ფარული მონოპოლიების პრობლემების დაძლევასა და დემოგრაფიული პროცესების დამოუკიდებლად შემობრუნებას სასიკეთოდ.
2. ვფიქრობთ, ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად უნდა იქცეს კლასტერულ-ტერიტორიული ინოვაციური მიდგომა, რომელშიც მთავარ რგოლად უნდა მოვიაზროთ უნივერსიტეტების პოტენციალი, ადგილობრივი ხელისუფლების, ბანკებისა და მეწარმეების აქტიური ჩართულობით. როცა ჩვენ ტერიტორიულ ერთეულებს გავაძლიერებთ, დემოგრაფიული პროცესები და დარგობრივი სტრუქტურული ძვრები გაუმჯობესებას დაიწყებს. თუ ჩვენ დარგების გაძლიერებით დავიწყებთ, ცალკეული დარგი გაძლიერდება, მაგრამ გაღარიბებული ტერიტორიები ისევ სიღარიბეში დაგვრჩება.

- კერძო მენეჯმენტის მთავარ პრიორიტეტად, მენეჯერული ხარჯების შემცირებასთან ერთად, სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურებთან კოორდინირებული მოქმედება უნდა იქცეს. კოვიდის გამოცდილებამ დაადასტურა ჩვენი ეს მოსაზრება. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს დემოგრაფიული პროცესების არსებითი გაუმჯობესებისთვის (სამაგალითოა, ამერიკელი დემოკრატების თანამედროვე რეფორმა), ეხმარებოდეს ახალგაზრდა ბიზნესებს, მათ შორის მაღალმთიან რეგიონებში, საჭირო დონეზე უზრუნველყოს ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება, ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერა, სამედიცინო მომსახურება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მათ შორის განსაკუთრებით რთულად მისასვლელ ადგილებში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Howe Neil, Strauss William, Generations: The History of America's Future 1584–2069. New York: 1991; ISBN 0-688-08133-9.
- Tony Rao, Baby boomers are increasingly more likely to risk drink-driving than millennials. London: King's College, 2019.
- Marina Pirtskhalava, Malkhaz Vakhania, Tornike Mindiashvili, Mariam Kobiashvili, Mariam Velijanashvili, Use of monoclonal antibodies (mAbs) and their future prospects. – <https://doi.org/10.56580/GEOMEDI0001>
- Ekaterine Kipiani, Maia Barbakadze, Zurab R. Tsetskhladze, Cellular mechanisms of hippocampal gamma frequency oscillations. – <https://doi.org/10.56580/GEOMEDI0002>
- T. Okropiridze, B. Kmosteli, A. Leonidze, Kh. Tvildiani, M. Kalandadze, M. Merabishvili, G. Modebadze, Prevalence of somatic and dental diseases in the adult population of Tbilisi. – <https://doi.org/10.56580/GEOMEDI0003>
- Revaz Lordkipanidze, The fantastic Teaching University Geomedi - a bridge of friendship between Peoples and the necessary open mutually beneficial relations for the rise of Science. – Professionalism and Law-obedience in Everything and for Strong INTERPOL on Foundations of American Lessons to the Best Life (Issue N106): 2022: 94.
- Revaz Lordkipanidze, Atom Model as Confirmation of Optimally Efficient - New Competitive Peaceful Model for Economies from America to Far East and against terrorist-pandemic hidden monopolies. - Research Results in Format of RG Research Proposal for Researchgate.net: 2021: Monograph (as collection of works) on 1000 pages.
- GDP per capita (Current US\$): The World Bank: Indicators for the years 1960-2021: https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD?most_recent_value_desc=true